



**ს.ს.ფ.-ს მისიის ვიზიტი, 30 იანვარი-7 თებერვალი, 2001**

ს.ს.ფ.-ს მისია სამუშაო ვიზიტით ეწვია თბილისს 30 იანვრიდან-7 თებერვლამდე რათა განეხილა სიღარიბის შემცირების და ეკონომიკური ზრდის კრედიტის (PRGF) მიერ მხარდაჭერილი ახალი პროგრამის მიმდინარეობა. მისიის მთავარი მიზანი იყო დეკემბრის ბოლოს ეკონომიკური და ფინანსური მონაცემების შესრულების განხილვა; პროგრამის ფარგლებში მაკროეკონომიკური მდგომარეობის შეფასება; დახმარების აღმოჩენა საგარეო ვალების სტრატეგიის შემუშავებაში; სტრუქტურული რეფორმების შეფასება; სიღარიბის შემცირების და ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება. ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პუნქტები აჯამებს მისიის შედეგებს:

- PRGF მიერ მხარდაჭერილი ეკონომიკური პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მაკროეკონომიკური მანქანებლები შესრულებულია (იხილეთ ცხრილი 1).
- 2000 წლის დეკემბრის ბოლოს მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამული მანქანებლების შესრულება დამაკმაყოფილებელია. თუმცა, ორი მანქანებელი არ შესრულებულა მცირედი მარჯით. ვინაიდან გადახრები მცირე დონით მოხდა და ისინი პროგრამის მიერ დასახული მიზნების შესრულებას საფრთხეს არ უქმნის, მისია ურჩევს ს.ს.ფ.-ს დირექტორთა საბჭოს დაამტკიცოს მეორე ტრანში სიღარიბის შემცირების და ეკონომიკური ზრდის კრედიტის ფარგლებში.
- 2001 წლის მაკროეკონომიკური პროგრამის შესასრულებლად აუცილებელია ფისკალურ გარდაქმნებზე მიმართული ძალისხმევის გაგრძელება. საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა უნდა გააფართონ საგადასახადო ბაზა და გაამარტივონ საგადასახადო სისტემა. მისიამ ურჩია მთავრობას გააუქმოს დიფერენცირებული აქციზი ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებულ სიგარეტს შორის, რომელიც საქართველოს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება; ჯართის და ხე-ტყის ექსპორტის აკრძალვის ნაცვლად სამართალდამცავი სისტემის საშუალებით ებრძოლოს ამ სფეროში არსებულ უკანონობას.
- ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელოს მკაცრი ფულად საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება წინდახედულ რემონეტიზაციის პროგნოზებს და საგარეო დაფინანსებას.
- PRGF-ის მიერ მხარდაჭერილი ეკონომიკური პროგრამის არსებით ელემენტს შეადგენს ორმხრივ კრედიტორებთან საგარეო ვალის წარმატებული რესტრუქტურისაცია. პარიზის კლუბი 2001 მარტს გეგმავს საქართველოს ადრე უკვე რესტრუქტურისებული საგარეო დავალიანების ხელახალი რესტრუქტურისაციას არა შეღავათიანი პირობებით. საქართველომ ვალის რესტრუქტურისაცია მსგავსი პირობებით უნდა განახორციელოს იმ კრედიტორებთანაც რომლებიც პარიზის კლუბის წევრები არ არიან.
- სტრუქტურული და ინსტიტუციონალური რეფორმები პროგრამის შესაბამისად ხორციელდება, თუმცა ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, რათა პროგრამით გათვალისწინებული მანქანებლები შესრულდეს შუალედური განხილვისათვის, რომელიც ამა წლის მაისში შედგება.
- ელექტროენერჯის არასტაბილური მიწოდება ხელს უშლის ეკონომიკურ საქმიანობასა და ქმნის სოციალურ სიძნელეებს. ხელისუფლება აპირებს ელექტრო ენერჯის ტარიფზე მცირე დანარიცხის შემოღებას, რომელიც ამ სექტორში არსებული საგარეო დავალიანების დასაფარავად არის გათვალისწინებული.

- მისია დაეთანხმა მთავრობის წინადადებას 2001 წლის ნოემბრის ბოლომდე სრულად შეიმუშაოს სიღარიბის შემცირების სტრატეგია.

**ცხრილი I: საქართველო: სხვადასხვა ეკონომიკურ-ფინანსური მონაცემები, 1996-2001**

	1996	1997	1998	1999	2000		2001
					პროგრამა <sup>1/</sup>	წინ.შესრუ ლ.	
(პროცენტული ცვლილება წინა წელთან თუ სხვაგვარად არარის მითითებული)							
ეროვნული შემოსავალი და ფასები							
მინიმალური მშპ 2/	55.0	19.1	7.8	13.4	9.5	...	11.8
მშპ მუდმივ ფასებში 2/	10.5	10.7	2.9	2.9	1.2	1.9	3.8
ნომინალური მშპ (მლნ ლარი) 2/	3,786	4,511	4,863	5,513	6,035	...	6,748
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	39.3	7.0	3.6	19.1	4.3	4.0	7.6
პერიოდის საშუალო მანვენებული							
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	13.7	7.2	10.7	10.9	6.8	4.6	5.9
პერიოდის ბოლო							
საგარეო სექტორი 3/							
ექპორტი	15	18	-3	0	9	...	9
იმპორტი	10	37	11	-13	9	...	6
გაცვლითი კურსი, ლარი/აშშ დოლარი							
პერიოდის საშუალო	1.26	1.30	1.39	2.02	1.97	1.98	...
პერიოდის ბოლოსათვის	1.27	1.30	1.79	1.96	...	1.98	...
(მშპ-სთან პროცენტული მიმართებით თუ სხვაგვარად არარის მითითებული) 2/							
ნაერთი ბიუჯეტი							
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	14.0	14.8	16.2	15.8	15.0	15.1	16.8
საგადასახადო შემოსავლები 4/	10.8	13.0	13.2	14.2	14.1	14.1	14.9
საგადასახადო შემოსავლები	55.6	65.9	64.5	69.1	79.0	77.8	87.3
(პროცენტულად მიმდინარე ხარჯებთან)							
მთლიანი ხარჯები და წმინდა	21.4	21.8	22.5	22.7	19.5	19.1	18.8
დაფინანსება 5/							
მიმდინარე ხარჯები	19.5	19.7	20.5	20.5	17.9	18.1	17.1
ფისკალური ბალანსი,	-7.4	-7.0	-6.4	-6.9	-4.6	-3.9	-2.0
ვალდებულებათა მიხედვით							
საკასო ფისკალური ბალანსი	-7.2	-6.3	-5.1	-5.1	-3.2	-2.5	-3.2
საგარეო სექტორი							
სავაჭრო ბალანსი	-11.7	-16.1	-19.6	-19.8	-19.0	...	-17.8
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი							
ტრანსფერების გარეშე	-13.9	-16.5	-17.2	-14.9	-13.7	...	-12.4
ტრანსფერების ჩათვლით	-9.2	-10.8	-11.1	-8.0	-8.1	...	-7.1

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და ს.ს.ფ.-ს

- 1/ PRGF-ის მიერ დაფინანსებულ ეკონომიკურ პროგრამაზე დაყრდნობით, რომელიც დამტკიცდა 12 იანვარს, 2001.
- 2/ მშპ პროგრამული გათვლები, რაც განასხვავებს მას 1996-2000 შესწორებული მშპ-ს მოცემებისაგან.
- 3/ მხოლოდ საქონელი, გამოსახული აშშ ამერიკულ დოლარებში.
- 4/ პროგრამის მიხედვით. ნაერთი საგადასახადო შემოსავლების და სპეციალური ფონდების ჩათვლით (საპენსიო, დასაქმების და საგზაო ფონდები).
- 5/ ვალდებულებათა მიხედვით. საკასო ხარჯები განსხვავდება ბიუჯეტის მონაცემებისაგან ხარჯებში დაგროვილი დავალიანებების ოდენობით.